სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03/10/2024

MES 0 24 0001262747

ბრძანება

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასების ფორმისა და ვადების, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–14 მუხლის მე-6 პუნქტის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 მაისის N11 დადგენილებით დამტკიცებული წესის 3^5 და 3^7 მუხლების თანახმად,

ვბრძანებ:

1. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „ელექტროობა“ , „სატყეო საქმე“- აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს მოტივაციური გასაუბრების გზით 2024 წლის 12 ოქტომბერს, 10:00 საათიდან - 16:00 საათამდე.
2. აპელაციის ვადებად განისაზღვროს 2024 წლის 13-ოქტომბერი
3. სააპელაციო კომისიის მუშაობის ვადებად განისაზღვროს 2024 წლის 14 ოქტომბერი.
4. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვა განხორციელდეს 2024 წლის 10 ოქტომბერამდე.
5. გასაუბრებები გაიმართოს პირისპირ ფორმატში. გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის შესაძლებელია გასაუბრების ონლაინ ფორმატით ჩატარება შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.
6. კომისიის წევრებმა აპლიკანტები შეაფასონ წინასწარ კონსტრუირებული შეფასების ფორმების მიხედვით, რომლებიც განთავსებულია ელექტრონულ ფორმატში.
7. გასაუბრების თარიღების, დროის, ადგილისა და ფორმის შესახებ აპლიკანტებს ეცნობოთ 2024 წლის 10 ოქტომბერამდე.
8. აპლიკანტთა შესარჩევი და სააპელაციო კომისიები განისაზღვრონ შემდეგი შემადგენლობით:
ა) აპლიკანტთა შესარჩევი კომისია:

- კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი ხაჩიძე-პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ , ხელმძღვანელი;
- კომისიის მდივანი: ქეთევან მელიქიძე-პროფესიული განათლების მიმართულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უფროსი სპეციალისტი;

კომისიის წევრები:
- მაკა ბერიძე-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
- ალექსანდრე ინასარიძე-საქართველოს სახელწმიფო ელექტრო სისტემის კ/ს 500 მთავარი ინჟინერი;

ბ) სააპელაციო კომისია:
- კომისიის თავმჯდომარე: რაგულ ინასარიძე-პროფესიული განათლების მიმართულების კოორდინატორი;

კომისიის წევრები:
- ნუნუ ჭაღიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- მახარე მაცუკატოვი - არასამთავრობო ორგანიზაცია -ბიზნესცენტრის ხელმძღვანელი, შპს „აგროკომპანიის“ დამფუძნებელი.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება გაეგზავნოს სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებას, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს, ამ ბრძანებით გათვალისწინებულ პირებს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა